საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

გოქსაძე ლილი სერგოს ასული

ლ. გოქსაძე

გოგსაძე ლილი სერგოს ასული (დ. 3. I. 1935, თბილისი), ენათმეცნიერი. ფილოლ. მეცნ. დოქტორი (1993), პროფესორი (2004). დაამთავრა თსუ-ის დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტ-რის ფაკ-ტის ინგლისური ენის განყ-ბა (1957). 1957–59 მუშაობდა თბილ. სახელმწ. სამედიცინო ინ-ტში ინგლისური ენის მასწავლებლად, 1962–2009 – თსუ-ის ინგლისური ფილოლ. კათედრაზე. 2006-იდან ამავე უნ-ტის ინგლისური ფილოლ. მიმართულების სრული პროფესორია. 2009 მიენიჭა პროფესორ-ემერიტუსის სტატუსი. გ-მ შეისწავლა კატენატიური მიმართებები და ზმნის უპირო ფორმებთან დაკავშირებული საკითხები თანამედროვე ინგლისურში. გამოქვეყნებული აქვს მრავალი სამეცნ. სტატია, 13 სახელმძღვანელო და მონოგრაფია – „ქართულ-ინგლისური ყოფითი თავისებურებები (თავაზიანობის ნორმები)" (1997). გ. არის საქართვ. სახელმწ. პრემიის ლაურეატი (2002). „თანამედროვე ინგლისური ენის გრამატიკის უმაღლესი კურსის" ოთხტომეულის გამოცემისათვის დაჯილდოებულია ივ. ჯავახიშვილის სახ. მედლით (2009).